№ 69 ოთხშაბათი 18 ნოემბერი 1909 წ.

# მომავალი

№ 69 ოთხშაბათი, 18 ნოემბერი 1909 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკოდა სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთის ფასი:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. **1 ნოემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 1 მ. 60 კ. თფილისს გარეთ 1მან. 80 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**

Тифлисъ, тип. „Шрома“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**გურკო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ძიძიძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. სნებით. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—39)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შელავათიანი საფასურით.

## [illegible] კერძო სამკურნალო

[illegible]ველდღე მოსიარულე ავათმყოფთათ[illegible]

ღიაა ყო[illegible] **ვაშა[illegible]** [illegible]ვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—39)

წარმოდგენა 17. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 17.

**ხუთშაბათს**, 19 **ნოემბერს** 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ განახლების შემდეგ პიესა ალ. სუმბათაშვილისა

## ბორკილი

დრამა 4 მოქმ. თარგ. ახნაზაროვასა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-დე, პარტერი 2 მ. 50 კ. 60 კ.-დე, გალერეა 40 კ-დან 20 კ-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

მორიგი რეჟისორი **ა. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **მ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## მკერავალი ქალი

ვღებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს, აგრეთვე ყოველ ნაირ თეთრეულებს.

**ადრესი:** კირპიჩნი პერეულოკი, № 2.

## საინტერესო გამოგონება

**მაქვს რამდენიმე გამოგონებანი**, რომლებზედაც 16 წელიწადია ვმუშაობ და ეხლა მსურს გავაკეთო ერთი მათგანის „მოდელი“, სახელდობრ **„ჰაერში მფრინავი ელექტრონის გემი.** პეტერბურგის ჰაერში საფრენ მანქანათა სამხედრო პარკში“ წარსადგენათ, რის საშვალება მე არა მაქვს, ამიტომ მივმართავ დაინტერესებულ **პირთ** დამეხმარონ და დაწყებული საქმე ბოლომდის მიმაყვანინონ. მოდელის გაკეთება დაჯდება 300 მანეთამდე, გაკეთდება ორი თვის განმავლობაში.

გ. გ. **ასლანოვი.**

**ადრესი:** მიხეილის პროსპექტი, საკლესიო სახლი № 8. (5—1)

## ავტომობილები

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, **ლანდო, კარეტა, კალიასკა,** ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.

ეტლი 5 ან 12 ადგილიანი და სხვა და სხვა

მოგვმართოს შემდეგი ადრესით: „Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zurich».

რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. **ბენდიანიძე.** (0—12)

კბილის ექიმი

## ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

დ. ქიათურაში **კბილის ექიმი**

## ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

## ბათუმში რკინის გზის შკაფი

გადმოვიდა ჩემ ხელში, ამიტომ ვაცხადებ რა, რომ შეიძლება ჩემთან შეძენა ყოველ ნაირი ქართული და რუსული ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების, როგორც ადგილობრივის, აგრეთვე სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთებისა, წიგნებისა და საუკეთესო ღია წერილებისა. აგრეთვე ჩემთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთებზე და გაზეთებში დასაბეჭდი სხვადასხვა განცხადებები, რომელიც დაუყოვნებლივ იქნება ასრულებული. ვინც ჩემგან თვიურათ გაზეთს გამოიწერს, იმას გაზეთი ჩვენი ხარჯით თავის სახლში მიუვა. საჭიროა გამოწერა—შეწყვეტის დროს ერთი კვირით ადრე განცხადება.

შკაფი ღია გვექნება მთელი დღის განმავლობაში.

(10—1) **გამგე გიორგი მახარაძე.**

## სახელმწიფო დუმა

(სააგენტოს დეპეშებიდან)

**მეთვრამეტე სხდომა.**

16 ნოემბერი

სახელმწიფო დუმის მეთვრამეტე სხდომაზე განაგრძეს პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ კანონ პროექტზე კამათი ეს კითხვა დიდ კამათს იწვევს მემარჯვენე და მემარცხენე დეპუტატებში. პირველნი სავსებით იცავენ კომისიის კანონ-პროექტს, ხოლო მეორენი ცდილობენ კანონ-პროექტი ძირითადათ შეიცვალოს. ლიახნიცკი ადარებს პირველი დუმის კომისიის მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტს ეხლანდელს და ამბობს, რომ ეხლანდელმა კომისიამ პირველიდან მხოლოდ გარეგნული სილამაზე გადმოიღო და ისე კი არსებითათ შესცვალეს კანონ-პროექტი. ის სთხოვს დუმას მიიღოს პიროვნების ხელშეუხებლობის კანონ-პროექტი ნამდვილი მნიშვნელობით. მომხსენებელი ზომისლოვსკი პასუხს აძლევს ყველა ორატორებს. მას შეუძლებლათ მიაჩნია გეგეჭკორს გასცეს პასუხი, რადგან მან განაცხადა პიროვნების ხელშეუხლებლობა უნდა ძალით მოვიპოვოთო, თუ ძალით მოიპოვებს პასუხს დუმის კათედრიდან კი არა, სხვა ადგილას მიიღებს. ის თხოულობს მიიღოს დუმამ კანონ-პროექტი კომისიის რედაქციით. ანტონოვის აზრით პიროვნობის ხელშეუხებობისთვის საჭიროა პოლიციის რეფორმა, თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა და სხვა. ის თხოულობს სრულიად გამოირიცხოს პროექტიდან მეთორმეტე მუხლი. ნოვიცკი მეორე მომხრეა მიიღონ კანონ-პროექტი შესწორებით. პეტროვი მესამე აღნიშნავს, რომ ეს კანონ-პროექტი პიროვნების ხელშეუხებლობის მაგიერ ამყარებს ადმინისტრაციის თვითნებობის ხელშეუხებლობას. ერთათ ერთი გასასვლელი გზა მისი აზრით ის არის, რომ დუმამ მიიღოს მეორე დუმის მიერ შემუშავებული პროექტი. აჯემოვი ამ კანონ პროექტს ძველი წეს-წყობილების პოლიტიკურ კონტრაბანდას ეძახის. ის მოითხოვს დუმა ყურადღებით მოეპყრას ამ საკითხს და ახალი დროშის ქვეშ ძველი წესები არ უნდა განამტკიცოს. პარჩევსკი ამტკიცებს, რომ არსად ისე არ არის პიროვნება ფეხქვეშ გათელილი, როგორც ეს რუსეთშია. ყველაზე მეტათ გასავალი აქვს ყოველივე თვითნებობას პოლონეთში, ამის მიზეზი კი გარუსების პოლიტიკაა და აგრეთვე ისიც, რომ პოლონელები შეჩვეული იყვენ სხვაგვარ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებას.

მღვდელი ტიტევი, როგორც ქრისტიანი, სთხოვს დუმას მიიღოს ყველა შესწორებები ამ კანონ-პროექტის შესახებ, პიროვნების თავისუფლების გაფართოვებისაკენ იქნება მიმართული. მაკსუდოვი ვრცელ სიტყვაში მუსულმანების სახელით მოითხოვს კანონ-პროექტი ახალ კომისიას დაუბრუნდეს ხელ-ახლა გადასასინჯათ. ბობიანსკი ეხება არსებითათ კანონ-პროექტს და ამბობს, რომ საჭიროა შეტანილ იქნას რამდენიმე შესწორება. ფრიდმანი ლაპარაკობს ადგილიდან ადგილზე გადასვლის უფლების ხელშეუხებლობას და ამბობს, რომ ეს კითხვა მჭიდროთ შეკავშირებულია პიროვნების ხელშეუხებლობასთან და ამის შესახებ მეთხუთმეტე მუხლს არაფერი ახალი არ შეაქვს კანონ-პროექტში და ისევ ის ძველი დაბრკოლებები ძალაში რჩება, უმეტესათ ებრაელთა შესახებ. ტიმოშკინი ამბობს, რომ პიროვნების ხელშეუხებლობის კანონ-პროექტი მხოლოდ ოცნებაა, რომელსაც ასე ეტრფიან მემარცხენები. უკეთუ ეს განხორციელდა, თვითოეულ მემარცხენეს შეუძლია ჯიბით ყუმბარები ატაროს, რადგან იმედი ექნება ჟანდარმები ხელს არ ახლებენ. მისი აზრით პოლიციას სხვა საშუალება არა აქვს, გარდა „რეზინის ჯოხისა“. „რეზინა“ საუკეთესო საშუალებაა (ხმები მარცხნიდან: „სახ. სიტყვა“). პოლოვცევი ეკამათება მემარცხენე ორატორებს და ამბობს, რომ მათ უნდათ უწესოება მოახდინონ, წყალი აამღვრიონ და შემდეგ თევზები დაიჭირონ. ბლინოვი პროგრესისტების სახელით მოითხოვს შეტანილ იქნას შესწორება პირველ მუხლში, რომ არავინ არ იქნება დასჯილი ისე, თუ არ გასამართლებით. პროგრესისტების აზრით კომისიის რედაქციით კანონ-პროექტის მიღება იქნება ადმინისტრაციის თვითნებობის ხელშეუხებლობის დაკანონება. დიმშა ამბობს, რომ ამ სახით კანონ-პროექტის მიღება ყოვლად შეუძლებელია. მოტვილოვი თხოულობს მიიღოს დუმამ კანონ-პროექტი კომისიის რედაქციით. პურიშკევიჩი ამბობს—არსად ასე ნათლად, როგორც ამ პროექტში, არ ჩანს კადეტების სურვილი გამოიყენონ სათათბიროს ტრიბუნა თავის შორეულ, მათი აზრით კი მახლობელ მიზნის მისაღწევათ—იმ მიზნის, რომელზედაც პირდაპირ ამბობს გეგეჭკორი, როდესაც აცხადებს, თუ საით მიდიან სოციალდემოკრატები (აქ მოსდევს ლათინური ფრაზა, რომელიც ტელეგრაფმა დამახინჯებული გადმოგვცა).

**ალექსეევი.** (ადგილიდან): გადაგვითარგმნეთ.

**პურიშკევიჩი.** უმჯობესია არ გადავთარგმნო იმ დროს, როცა 38 სტატია მემუქრება მთელი თავისი შედეგებით. (სიცილი, ტაში მარჯვნით). თავის მისწრაფება-მიზნით ჩვენ გვჭაგს სოციალ-დემოკრატები და რომ ჩვენს ხელში იყოს უფლება, ჩვენ მათ წავახრჩობდით (სიცილი, მარჯვნით ხმაურობა), მაგრამ ჩვენ მოგვწონს მათში ის პირდაპირობა, რომლითაც ისინი ლაპარაკობენ იმაზე, რაც ჩქარა წარმავალია კადეტებში (?) თქვენ გაკლიათ თავისუფლება, მაგრამ ამ თავისუფლებას თქვენ მიიღებთ მაშინ, როდესაც ჩვენ დარწმუნებული ვიქნებით, რომ ის საფრთხეს არ მოუტანს სახელმწიფოს, შემდეგ ის ეხება სხვა ორატორების სიტყვებს და დასასრულ მოითხოვს მიიღონ კანონ-პროექტი კომისიის რედაქციით.

ზახაროვი მეორე ამბობს, რომ რუსეთში პიროვნების ხელშეუხებლობა არსებობს მხოლოდ პრივილეგიის მქონე კლასისთვის, ხოლო გლეხების და მუშებისთვის კი არა, ზახაროვი მეორის ამრჩეველ მუშებს კარგათ ესმით არსებულ წეს-წყობილებაში მათ არ შეუძლიათ პიროვნების ხელ შეუხებლობის მოპოვება და უნდა ელოდონ სანამ გაიღვიძებს რუსეთის ხალხი და აღგვის პირისაგან ქვეყნისა რუსეთის თვითნებობას. დასასრულ აცხადებენ ს.-დემოკრატების შეკითხვას იუსტიციის მინისტრისადმი იაროსლავსკის სატუსაღოში მოდარაჯე სალდათის მიერ ტუსაღი ქალის ბავშვის მოკვლის შესახებ. აცხადებენ სიჩქარეს. სიჩქარე უარყვეს 110 ხმით, წინააღმდეგ 80-ის შეკითხვა კომისიას გადაეცა. სხდომა დაიხურა, შემდეგი სხდომა დანიშნულია 18 ნოემბერს.

## საგულისხმო მოვლენა

—

იყო დრო, როცა ყველას ეგონა, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება ყოვლად სრული და უნაკლულო წეს-წყობილება იყო. ეს იყო მაშინ, როცა სიცოცხლით სავსე მოზარდი ბურჟუაზია სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებდა ძველ ფეოდალურ საზოგადოებას, როცა იგი ძველ უფლებას, ძველ კანონს, ძველ ზნე-ჩვეულებას გაბედულათ ებრძოდა და სხვა, მაზედ უფრო დაჩაგრულ კლასების მიერ წელ-გამაგრებული მიექანებოდა პროგრესის გზაზე. მაშინ თითქმის არავინ არღვევდა იმ რწმენას, რომ მომავალი უფლებრივი წყობილება მართლა განახორციელებდა და შექმნიდა საზოგადოების ყველა წევრთათვის თავისუფალი განვითარების და ცხოვრების პირობებს. ამიტომ ეს წყობილება ახალგაზრდა მებრძოლი ბურჟუაზიის იდეოლოგებს წარმოდგენილი ქონდათ, როგორც ბუნებრივი და უნაკლულო წეს-წყობილება, მარა ამ საერთო აღფრთოვანებამ დიდხანს არ გასტანა. საკმარისი იყო ფეოდალური საზოგადოება დამარცხებულიყო, [illegible] ძველი ბატონის მაგივრათ ცხოვრების სათავეში წამოსკუპდა ახალი ბატონი—ბურჟუაზია. მესამე წოდება, რომელიც დიდი რევოლიუციის დროს, როგორც ერთი მთელი, ებრძოდა აბსოლიუტურ მონარქიას და მის დამცველებს, დანაწილდა: მისი ერთი, უმცირესი ნაწილი, შეძლებული კლასი გაბატონდა მთელ საზოგადოებაზე, ხოლო მეორე ნაწილმა, პროლეტარიატმა, ეხლა იგრძნო, რომ ძმობა-ერთობაზე ყვირილს მისთვის ნაკლები შინაარსი ქონდა და მისი ნამდვილი განთავისუფლება ჯერ კიდევ მომავალის საქმე იყო. აქედან იწყება ახალი ბრძოლა, წინანდელზე უფრო საყურადღებო და შინაარსიანი, რომელსაც სარჩულათ უდევს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ანტაგონისტური ინტერესები. აქედანვე ეკარგება თავისი მიმზიდველობა ლეგენდას საერთო ბედნიერებასა და კმაყოფილებაზე, თუმცა ბურჟუაზიის იდეოლოგები ეხლაც გულმოდგინეთ ამტკიცებენ ბურჟუაზიული საზოგადოების უნაკლულობას. ამათი სიტყვით, რაც დღეს ხდება, ყველაფერი ნორმალური და ჩვეულებრივია, მომავალ სოციალურ წყობილებაზე ფიქრი მხოლოდ მოცლილი ადამიანების საქმეა და ასეთი უტოპია სრულიად არ შეეფერება სერიოზულ მოაზრეს და პოლიტიკურ მოღვაწეს, მარა რაც დრო გადის, სულ უფრო აშკარა ხდება თანამედროვე ბურჟუაზიული წყობილების უვარგისობა, მისი მოსპობის საჭიროება. და ეს გამოიხატება არა მარტო თანამედროვე მრავალრიცხოვანი პროლეტარიატის აუტანელ მდგომარეობაში. აიღეთ საერთაშორისო დამოკიდებულება, დღევანდელი ბურჟუაზიული სახელმწიფოს მექანიზმი და სხვა. ყველგან შეამჩნევთ თქვენ ამ საზოგადოების შუბლზე ისტორიულ განვითარების მიერ გამოკვეთილ საბედისწერო ნიშანს. ყველგან ეტყობა, რომ ეს საზოგადოება დაბერდა და მისი არსებობა სულ უფრო და უფრო წინ ეღობება სოციალურ განვითარებას. საზოგადოების მაღალ წრეებში ფეხს იკიდებს ისეთივე თავაშვებული გარყვნილება და ხალხის უმრავლესობის მიერ შექმნილი სიმდიდრის დაუზოგველი ფლანგვა, რომელიც ასე ახასიათებდა მისი მოხუ-

ცების ხანაში ფეოდალურ წყობილებას და მაშინდელ გაბატონებულ კლასებს. მთავრობა—ეს ბურჟუაზიის კომიტეტი—საჭიროებს აუარებელ ფულებს, რომ დაიცვას გაბატონებული კლასების ინტერესები და შეანარჩუნოს მათ ბატონობა. სახელმწიფო მართვა-გამგეობის არც ერთ დარგში არ იჩენს თავს რომელიმე საზოგადოებრივი წყობილების უნუგეშო მდგომარეობა ისე, როგორც სახელმწიფო ფინანსებში. სახელმწიფო ფინანსები ძლიერ მგრძნობიარე ბარომეტრია, რომელიც ყოველთვის სისწორით აღნიშნავს ყოველ რყევას საზოგადოებრივ წყობილებაში. ასე მაგ. მეცხრამეტე საუკუნეში საფრანგეთში მომხდარ დიდ რევოლიუციის წინ მიუძღოდა სახელმწიფოს ფინანსიური გაკოტრება. სასახლე საჭიროებდა ფულებს და ეს საჭიროება იმდენათ დიდი და თან აუცილებელიც იყო, რომ იგი იძულებული გახდა გადასახადები გაეწერა მემამულეებზედაც, რამაც აამხედრა ეს უკანასკნელები მთავრობის წინაალმდეგ.

როგორაა ამ მხრით საქმე ეხლა?

მთავრობის ოფიციოზი—«Россія»*)—იცავს რა განზრახულ ახალ სამრეწველო გადასახადის საჭიროებას, მას სხვათა შორის მოყავს საყურადღებო ციფრები ევროპის სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობის შესახებ. ეს მდგომარეობა არ არის მაინცა და მაინც სანუგეშო.

გერმანიის სახელმწიფო ვალები ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში გაორკეცდა; ახლა ეს ვალები უდრის 4-ნახევარ მილიარდ მარკას. მთავრობა ბიუჯეტის ნორმალურ მდგომარეობაში მოსაყვანათ იძულებული ხდება გაადიდოს ძველი გადასახადები და შემოიღოს ახალი. ამიტომ მან გაადიდა სახელმწიფო გადასახადები საერთო რიცხვით 420 მილიონი მარკით. ამ ფულების დიდი უმეტესობა არაპირდაპირ გადასახადებზე მოდის: არაყზე 80 მილ. მარკა, თამბაქოზე 45 მილ. მარკა, ლუდზე 100 მილიონი მარკა, ყავასა და ჩაიზე 37 მილ. მარკა და სფიჩქაზე 23 მილ. მარკა. ამ გადასახადის მთელი სიმძიმე, რასაკვირველია, ზურგზე აწვება ხელ მოკლე ხალხს. მარა გადასახადების მეორე კატეგორიაში არც უზრუნველ ისეთი გადასახადები, რომლებიც მდიდარმა კლასებმა უნდა გაიღონ.

ავსტრიაში უკანასკნელი წლების განმავლობაში სახელმწიფო გასავალი მატულობდა ყოველ წლობით 150 მილ. კრონამდე, ხოლო შემოსავალი კი მატულობდა ასი მილიონი კრონით. დეფიციტი 65 მილიონია. მარა ეს, ასე ვსთქვათ, ჩვეულებრივი დეფიციტია. აქ არ შედის მთავრობის მტაცებლური პოლიტიკით—ბოსნია-ჰერცოგოვინის ანექსიით გამოწვეული არაჩვეულებრივი ხარჯები—221 მილიონი კრონი. აქაც მთავრობამ დეფიციტის დასაფარავათ კანონ-პროექტის მთელი რიგი შეიმუშავა, რომლებითაც უნდა გაადიდონ გადასახადები ლუდზე, სპირტზე, რკინის გზის ბილეთებზე, მემკვიდრეობაზე, შემოსავალზე და სხვა. ნ. ხ.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. 31 ოქტომბრ. ნომერი.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 ნოემბერი.

**სპარსეთი.**

**თეირანი.** შირაზში ხალხის ბრბო გუბერნატორის სასახლეს დაეცა. გუბერნატორი იძულებული შეიქნა გაპარულიყო. ხალხის აღელვება გამოიწვია ერთი კაცის მოკვლამ, რომელსაც „შაროდი“ არა სცოდნოდა. ისე გაუგდო დამის დარაჯის მახლობლათ.

**თავრიზი.** რამდენიმე დღის წინათ გენერალ-გუბერნატორმა რახიმ-ხანის წინააღმდეგ სამასამდე ცხენოსანი მეომარი გაგზავნა. რაზმის მცირე ნაწილი ქალაქში დაბრუნდა. გარადახედი მხედრები მათ ქალაქიდან ათი ვერსის მანძილამდე მოსდევდნენ.

**ოსმალეთი**

**სტამბოლი.** სპარსეთის საზღვრებიდან ცნობა მიიღეს ქურთების და ოსმალეთის ჯარების შეტაკების შესახებ. მოკლულია ბევრი ქურთი, მათ რიცხვში ორი მეთაური. ოსმალების მხრით მოკლულთა რიცხვი 60-მდეა.

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა შეეკითხა ფინანსთა მინისტრს, რატომ მოქმედებაში არ შევიდა კანონ-პროექტი მაგარი სასმელებით ვაჭრობის შესახებ.

**რუსეთი**

**პეტერბურგი.** გუშინ დაიჭირეს სოფელ სტროი დერევნიაში მომხდარ მკვლელობის მესამე მონაწილე. მას ჩვენება ჩამოართვეს და გამოტეხა. რადგან მკვლელობის დროს დიდი სიმხეცე ჩაიდინეს, გრადონაჩალნიკმა საქმე სამხედრო სასამართლოს გადასცა.

ღამით სავგირაო სკოლის გაჩხრეკის დროს დაიჭირეს საიდუმლო კრება. კრებაზე ასი კაცი იყო, მათ შორის სახელმწიფო დუმის წევრი (?)

**ტომსკი.** გაიხსნა ციმბირის ახალი სასამართლოს სესია ნაფიც მსაჯულებით.

**პეტერბურგი.** სამხედრო საოლქო სასამართლომ გაარჩია გლეხი ბელოვის საქმე. ბელოვი 9 ნოემბერს თავს დაეცა ქალაქის ლომბარდის ხაზინადარს. სასამართლომ ბელოვს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

**პეტერბურგი.** ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე გენ. მაიორი ზეინი დაინიშნა ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორათ.

**ბაქო.** ღამით რევოლვერებით შეიარაღებული 8 კაცი შიბევის ნავთის ქარხანაში შეცვივდნენ, დარაჯი შეკრეს, 13 ათას მანეთით დირებული თასი მოიტაცეს და მიიმალნენ.

**ლიბავა.** პოლიციამ დააპატიმრა ორი ყაჩაღი, რომლებმაც ივლისში მხეცურათ ამოსწყვიტეს ერთი ოჯახი და მძიმეთ დასჭრეს მოსამსახურე.

**ლიბავა.** პოლიციამ აღმოაჩინა რევოლიუციონური ორგანიზაცია. რამდენიმე პირი დაატუსაღეს.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო დაცვის კომისიამ საჭიროთ დაინახა კანონ-პროექტი შეიმუშაოს ჯარის კაცთათვის პენსიის დანიშვნის შესახებ. კომისიას აზრათ აქვს განსაკუთრებული გადასახადი დაადვას იმ პირთ, ვინც სამხედრო ბეგარას არ იხდის და საჭირო ფონდი აქედან შეადგინოს.

**პეტერბურგი.** პოლიციამ არა-ლეგალურ კრებაზე დააპატიმრა 100 კაცი. მათ რიცხვში მოხვდა დუმის დეპუტატიც. ვინაობის გამორკვევის შემდეგ დეპუტატი განთავისუფლებულ იქნა.

**ეკატერინოსლავი.** დუბოვაია ბალკას მადაროებთან სამმა შეიარაღებულმა უცნობმა „გოროდოვოი“ მოკლა.

**სმოლენსკი.** საგუბერნიო საკრებულომ გუბერნატორს წარუდგინა დადგენილება, რომლის ძალითაც საგუბერნიო ექიმი სისხლის სასმ. წესით პასუხისგებაში უნდა იქნას მიცემული, კბილის ექიმის წოდებაზე ყალბი მოწმობის მიცემისათვის. გუბერნატორმა დადგენილება დაამტკიცა.

**ეკატერინოდარი.** 10 ნოემბერს, ოთხ საათზე მიწა იძრა, რომელმაც 7 წამს გასტანა. ბუხრები ჩამოიქცა. კედლები დასკდა.

**პარიზი.** სენის დეპარტამენტის ჯარების სარდალი გენერალი ვერო ორ ადგას არის დაჭრილი: შუბლში მსუბუქათ და კეფაში მძიმეთ. მიუხედავათ ამისა, გენერალი სიკვდილს გადარჩება.

# უკანასკნელი ფოსტა

**სპარსეთი.**

**დამსჯელი რაზმი.** არდებილის დაწყნარების და შახსევანების გაფანტვის გამო სპარსეთის მთავრობამ არდებილიდან დამსჯელი რაზმი უკანვე გამოიწვია. დამსჯელი რაზმი უკვე სპარს. ასტარაში დაბრუნდა, საიდანაც თეირანში გაემართება.

**ელჩზე თავდასხმა.** როგორც დეპეშებიდან ვიცით, ამას წინათ სპარსეთში რუსეთის ელჩს ყაჩაღები თავს დაესხნენ და ერთი კაზაკი მოკლეს. რუსეთის მთავრობამ ამის გამო შემდეგი პირობის შესრულება მოსთხოვა სპარსეთის მთავრობას:

1) ბოდიში მოიხადოს თეირანში რუსეთის ელჩის წინაშე.

2) დიდებული შეხვედრა გაუმართოს ადგილობრივმა გუბერნატორმა რუსეთის ელჩს—პასეკს.

3) ბოდიში მოიხადოს მის წინაშე.

4) ჯილდო მიეცეს მოკლულ ყაზახის ოჯახს.

5) სპარსეთის მთავრობამ თავისი ხარჯით უმკურნალოს დაჭრილ რუს ყაზახებს.

**ოსმალეთი·**

**მდგომარეობა საბერძნეთში.** საბერძნეთის მდგომარეობა ისევ უნუგეშოა. სახელმწიფო კიდევ არ ჩამდგარა ნორმალურ კალაპოტში. ამ ჟამათ მთავრობის ერთ საჭირ-ბოროტო კითხვათ გაუხდა ხელოსანთა მოთხოვნილება. ამ უკანასკნელებმა ფინანსთა მინისტრს დეპუტაცია გაუგზავნეს და სთხოვეს, რომ პარლამენტში შეტანილი საფინანსო კანონ-პროექტები არ დაამტკიცოს მთავრობამ, ვინაიდან ამ კანონ-პროექტის ძალით მთელი გადასახადების სიმძიმე მშრომელ ხალხს დააწვება კისერზე. თუ მთავრობა ჩვენი მოთხოვნის წინააღმდეგ ახალ გადასახადებს დაამტკიცებს, განაცხადა დეპუტაციამ, ჩვენ იძულებული ვიქნებით ყოველი ღონისძიებით წინაღუდგეთ მას. აფიცერთა შორის განხეთქილება გრძელდება.

**განხეთქილება პარტიაში.** როგორც სალონიკიდან იტყობინებიან, „ერთობის და პროგრესის კომიტეტში“ განხეთქილებას უჩენია თავი. კომიტეტის წევრთა მეტი ნაწილი მოითხოვს ოსმალეთში მცხოვრებ სხვა ერონების წარმომადგენლებთან მშვიდობიანი პოლიტიკის დაჭერას და ბალკანეთის სახელმწიფოებთან კეთილ განწყობილებას. კომიტეტი თავის ძველ პოლიტიკას განაგრძობს.

**შეტაკება.** ჩინგუსში, დიარბეკირის ვილაეტის დაბაში ქურთების ბრბო დაეცა სომხეთა ეპისკოპოსის სახლს. სომხებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. ორივე მხრით მოკლულია 20-მდე კაცი.

**რუსეთი.**

**დუმის გარშემო.** კანონ-პროექტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ რეფორმება და ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში შეტანილ იქნება.

**ცოცხლათ დამარხული.** სამარკანდში მთავრობის განკარგულებით საფლავიდან ამოიღეს წინა დღით დამარხული ტელეგრაფის მექანიკი რიხლიცკი. მიცვალებული კუბოში პირქვე იდვა. ხელების თითები კბილებით დაეგლიჯა. ტანთსაცმელი სრულიად შემოეფლითა. როგორც გამოირკვა, რიხლიცკი შეცდომით ცოცხალი დაემარხათ.

**დეპუტაცია სტოლიპინთან.** სტაროობრიადცების (26 კაცისაგან შემდგარი) დეპუტაცია ამ დღეებში სტოლიპინთან იყო. დეპუტაციამ სთხოვა პრემიერ-მინისტრს შეუცვლელათ დარჩეს სტაროობრიადცების შესახებ შემუშავებული კანონ-პროექტში ის შესწორებანი, რომელიც დუმამ შეიტანა. სტოპილინმა განაცხადა, რომ შესწორებანი მთავრობის სურვილის წინააღმდეგ იქნა შეტანილი, ამიტომ მე არ შემიძლია მათ მხარი დავუჭიროო.

**ილიოდორეს დასჯა.** ვოლინსკის საოლქო სასამართლომ ბერ ილიოდორეს პრესაში ცილისწამებისათვის ორი კვირის ციხე გადაუწყვიტა. სარატოვის სასულიერო კონსისტორიამ სასამართლოს დადგენილება სისრულეში მოიყვანა.

**დირექტორი პასუხისგებაში.** მეორე დუმის ყოფილმა დეპუტატმა პოვილისომ სისხლის სასამართლოს წესით პასუხისგებაში მისცა პეტ. დეპ. სააგენტოს დირექტორი ცილისწამებისთვის. სააგენტოს ყველა რუსეთის გაზეთებისათვის დეპეშით უცნობებია თავის დროზე, რომ პოლიციამ დაატუსაღა მეორე დუმის დეპუტატი პოვილისი, რომელიც ყაჩაღთა ბრბოს მეთაურობდა შავლში მომხდარ გაძარცვის დროს. ეს დეპეშა იმ დროს გაუგზავნია სააგენტოს, როდესაც სასამართლოს უკვე გამოურკვევია პოვილისის უდანაშაულობა მომხდარ ექსპროპრიაციაში. დეპეშის გამო დეპუტატს ადგილი დაუკარგავს ერთ ადგილობრივ ბანკის განყოფილებაში.

**საზღვარ-გარეთ**

**თავის მოკვლა.** სტამბოლიდან ქალაქ ბროდში აცნობებენ, რომ, ზოგიერთი ვაჟსხალ გაზრდასთან ერთად მოინდომა, ხელმწიფის ალყა შემოარტყეს სასტუმროს, სადაც რუსი იყო ჩამომხტარი. მან პოლიციელების მოსვლაზე კარები მაგრათ ჩაიკეტა, ყუმბარა ააფეთქა და თავი მოიკლა, რომ პოლიციელებს არ დანებებოდა.

**მინისტრები და ლორდების პალატა.** ინგლისის პოლიტიკურ წრეებში იმ აზ-

სოციალისტ-უტოპისტები.

(დასასრული.)

უტოპიურ-სოციალიზმის მესამე დიდებული წარმომადგენელი იყო გრაფი გენრიხ დე-რუვრუა სენ-სიმონი. სენ-სიმონი დაიბადა საფრანგეთში, მდიდარ და არისტოკრატიულ ოჯახში. იყო კარლოს დიდის შთამომავალი. ის იყო მეტათ განათლებული პირი. იშვიათია ისტორიაში ისეთი პირი, როგორიც იყო სენ-სიმონი. ამპარტავანი, უშიშარი, თავის ღირსების მცნობი-დამფასებელი, დიდების და პატივის გადაჭარბებით მოყვარული. აი ის თვისებები, რომლებმაც თავი იჩინა სენ-სიმონში ჯერ კიდევ ბავშობისას. ამბობენ, რომ მოსამ. მოვალე იყო გაეღვიძებია დილით ახალ-გაზრდა გრაფი შემდეგი სიტყვებით: „აბრძანდით გრაფო, თქვენ გიცდით დიდი საქმეები.“

ის, ჯერ კიდევ 13 წლის იყო, როცა მამას განუცხადა, რომ მან შეიცვალა თავის რელიგიოზური რწმენა და აღარ სურს მიიღოს ზიარება. ამ განცხადებამ ისედაც სასტიკი მამა, მოთმინებიდან გამოიყვანა და პატარა სენ-სიმონი ჩაამწყვდია სატუსაღოში, მაგრამ გაბედული ბავშვი დიდხანს არ დარჩენილა შიგ. მან დაჰკრა დანა ციხის ზედამხედველს და გაიქცა. დაახლოვებით ამ ხანებში ამერიკაში მოხდა ინგლისის კოლონიების აჯანყება. აჯანყებულთა დასახმარებლათ საფრანგეთიდან გაემგზავრა მთელი კორპუსი. ამ კორპუსის ერთი აფიცერთაგანი იყო სენ-სიმონიც. ის მთელი ხუთი წლის განმავლობაში მხნეთ და გაბედულათ იბრძოდა ინგლისელებთან ერთად, ბოლოს წაყვანილ იქნა ტყვეთ და განთავისუფლებულ იქნა მხოლოთ ზავის ჩამოგდების შემდეგ. ამ დროს ის 24 წლის იყო. პოლკოვნიკის ჩინით და ამერიკის და საფრანგეთის სხვა და სხვა ორდენებით დაჯილდოებული დაბრუნდა საფრანგეთში. აქ ის დაინიშნა სიმაგრე მეცის კომენდანტათ. მაგრამ ეს თანამდებობა მას ოდნავათაც ვერ აკმაყოფილებდა. ის კიდევ უფრო მეტს ეტრფის. ის თავ-დავიწყებათ მიექანება დიდება—სახელისაკენ. მარა გზა, რომელიც მას მიიყვანს აქამდის, მისთვის ჯერ კიდევ გამოურკვეველია. ის ტოვებს სამსახურს და გადადის მეორეზე. აქედან მესამეზე მეოთხეზე და ასე ბოლომდის. ბოლოს ის სულ სტოვებს საფრანგეთს, იწყებს მოგზაურობას ევროპაში და ბოლოს მიდის ისპანიაში. აქ ისპანიის კოროლს ფანტასტიურ წინადადებას აძლევს: კოროლს უნდა გაეთხარა არხი, რომელიც შეაერთებდა მადრიდს ზღვასთან. ყოველგვარი სამუშაო უნდა აესრულებია უცხოელებს, რომლის კომპლექტის შედგენა-მოწყობას თვით სენ-სიმონი კისრულობდა.

იმ ხანებში იფეთქა საფრანგეთში რევოლიუციამ. სენ-სიმონი სტოვებს ისპანიას და მიეშურება სამშობლოში. აქ მას ირჩევენ მეერათ, მარა ის უარს აცხადებს, რადგან მისი აზრით, ხალხისთვის საშიშოა უფლების მინიჭება ძველი აზნაურისათვის და თავის გრაფობაზედაც უარს ამბობს. რევოლიუციამ სენ-სიმონს მატერიალურათ დიდი ზარალი მიაყენა. მან იმსხვერპლა მისი მამისეული აუარებელი ქონება. ის იწყებს სპეკულიაციას თავის კომპანიონ, ვიღაც რედერთთან, რომელმაც მას შემდეგ რამდენიმე მილიონი წაართვა. მაგრამ ყოველივე ეს არ აწუხებს მას. ის არაფრათ არ აგდებს არც ქონების დაკარგვას, არც კომპანიონისაგან გაძარცვას.

სენ-სიმონი დიდის ენერგიით შეუდგა თავის ცოდნის გაღრმავება-გაფართოვებას. ამ მიზნით ის უახლოვდება პროფესორებს, მსწავლულებს, ექიმებს და კამათობს სხვა და სხვა მეცნიერულ კითხვებზე და სხვა. ის მიდის იმ დასკვნამდის, რომ საჭიროა მისთვის ცხოვრების გამოცდილების გაფართოვება, ადამიანთა ყოველ-გვარი ნდომა-სურვილების სრული გაგება-შესწავლა. ამისთვის ის ეცნობა სხვა და სხვა ხელობის და პროფესიის არისტოკრატიულ პირებს: მხატვრებს, არტისტებს, მოთამაშეებს, ლამაზ ქალებს და სხ. და რომ კიდევ უფრო ახლო შეისწავლოს ადამიანის პატივ-მოყვარეობა, ის ირთავს ლამაზ და მშვენიერ ქალს. ყველა ამაებთან ის ხშირათ აწყობს დიდებულ ლხინს და ქეიფს, რაზედაც დიდძალი ფული ეხარჯება. ასე რომ, ერთი წლის შემდეგ მისი ქონებიდან აღარა დარჩა-რა. ის ვარდება უკიდურეს სიღარიბეში და შორდება თავის ლამაზ ცოლს.

სენ-სიმონი ამ დროს 40 წ. მეტის იყო. ის აუტანელ სიღარიბეში ჩავარდა. ასე რომ, ხშირათ კიდევაც შიმშილობდა. მიუხედავათ ასეთი აუტანელი პირობებისა, ის იმუშავებს მეცნიერულ პლანებს, ერთი-მეორეზე უფრო გრანდიოზულს. ის დაუშრეტელი ენერგიით ავითარებს თავის იდეებს. მას სურს თავისი პლანებით მიიქციოს მსწავლულთა ყურადღება, მარა მუხთალი ბედი აქაც ღალატობს. დახმარების და ყურადღების მაგიერ მას დასცინიან და მხოლოდ იცოდვებენ, როგორც გულუბრყვილოს და სულელს. სენ-სიმონი გულს არ იტეხს. ის სტოვებს საფრანგეთს და მიდის ჟენევაში. აქ ამ დროს ცხოვრებდა ქ-ნი სტალი, რომლის სახელი მთელ დედამიწის ზურგზე განთქმული იყო, როგორც ჭკვიანი და ფრიად განათლებული ქალის. სენ-სიმონი მას სრულიად არ იცნობდა. მას ერთხელაც არ ენახა სტალი. მიუხედავათ ამისა ის მიდის მასთან და ეუბნება: „შენ შესანიშნავი ქალი ხარ ჩვენი დროის. მე კი—შესანიშნავი კაცი. რატომ არ უნდა ვიყოთ ჩვენ ცოლ-ქმარიო“? სტალმა ის სულელათ მიიღო და, რასაკვირველია, მისი წინადადება უარჰყო.

აქ მან გამოსცა თავისი პირველი ლიტერატურული შრომა პატარა ბროშურათ, სადაც მოთავსებული იყო სამი წერილი, მართალია ეს წერილები აღფრთოვანებით დაწერილი იყო, მაგრამ იმდენათ არეულ-დარეული და უცნაური იყო, რომ კაცს ეგონებოდა, რომ ის დაწერილია ავათმყოფ ექსტაზში მყოფ ადამიანისაგანო. ბროშურამ, რასაკვირველია, არც ფული მისცა და არც სახელი. ფული კი მას მეტის მეტათ ესაჭიროებოდა. ის შეუდგა სამხურის ძებნას და დიდის ვაივაგლახით იშოვა გადამწერის ადგილი ლომბარდში. სამსახური მას ძალიან დიდ დროს ართმევდა, ასე რომ, თავის მეცნიერული შრომისთვის მას მხოლოდ ღამეები რჩებოდა, მაგრამ ბედმა ის მალე შეყარა თავის ყოფილ მოსამსახურე დიარს. დიარს მეტათ შეეცოდა თავისი ყოფილი ბატონი ასეთ მდგომარეობაში და შესთავაზა მას ბინა და რჩენა უსასყიდლოთ. სენ-სიმონს სრულიად არ მიაჩნია დამამცირებლათ ასეთი წინადადება და ის სახლდება დიარისას, აქ ის ერთავათ თავის პლანების შემუშავებას უნდება. დიარის ხარჯზე მან დასტამბა რამდენიმე მეცნიერულ ფილოსოფიური თხზულება, რომელთაც არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. მან გაამზადა დასაბეჭდათ კიდევ სხვა თავის ნაწარმოები, მარა ბედმა აქაც უმუხთლა. დიარი გარდაიცვალა და გაღატაკებულ ფილოსოფოსს არ მოეპოვებოდა არავითარი სახსარი თავის შრომის გამოსაცემათ. და აი, თვითონ, თავისი ხელით სწერს რამდენიმე ეგზემპლიარს, უგზავნის ცნობილ მსწავლულებს და თან სთხოვს მატერიალურ დახმარებას, რომ მით საშუალება მიეცეს განაგრძოს თავისი გენიალური შრომა. სამწუხაროთ, მას არამც თუ ეხმარებიან, პირიქით, დასცინიან კიდეც და მის ნაწარმოებს არც კი კითხულობენ. სენ-სიმონი ისევ გაჭირვებულ მდგომარეობაში რჩება. სიღარიბე თანდათან იზრდება. თან სიბერემაც მოატანა და მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელი ხდება. ის კარგავს ყოველივე იმედს და 1825 წ. რევოლვერით თავის მოკვლა გადასწყვიტა. ტყვია თვალში მოხვდა და ის ისევ ცოცხალი რჩება. ამის შემდეგ მან კიდევ ორი წელიწადი იცოცხლა. სიცოცხლის უკანასკნელ წამებში მან მიმართა თავის შეგირდებს: „ვაშლი მწიფეა, თქვენ მოწყვეტთ მას. ჩვენი პუბლიკაციის ორი დღის შემდეგ, გაჩნდება მუშათა პარტია. მომავალი გვეკუთვნის ჩვენ“. ამ სიტყვებით ის გარდაიცვალა 1827 წ., თავის მცირე რიცხოვან შეგირდების ხელში.

მართალია, სენ-სიმონის სწავლა-მოძღვრება, თავის განყენებული თვისება-ხასიათით ფართო მასსისთვის მიუწდომელი და გაუგებარი იყო, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მისი მნიშვნელობა აზროვნების განვითარების ისტორიაში მეტის-მეტათ დიდ-მნიშვნელოვანი იყო. თავის ფანტასტიური მოწოდებით ის მასსას კი არ მიმართავდა, არამედ მდიდრებს და მაღალ ხარისხოვანებს და არწმუნებდა მათ, რომ მისი პლანის მიღება, მათთვის დიდათ ხელსაყრელი და სასარგებლო იქნება. ის წერდა წერილს ნაპოლეონს და სთხოვდა ეკისრა საზოგადოების გარდაქმნა. ის არწმუნებდა ლიუდოვიკ მე-XVIII, რომ მისი ინტერესები მოითხოვს ამ მოძღვრების მიღებას. ეს მოძღვრება კი აღიარებს საზოგადოების გარდაქმნის აუცილებლობას. კაცობრიობის მიზანი ამბობს სენ-სიმონი—მდგომარეობს იმაში, რომ შეამსუბუქოს შეძლების დავგარათ ხვედრი იმ კლასის, რომელსაც არავითარი სხვა სახსარი არ აქვს არსებობისა, გარდა თავის შრომით მონაგებისა, მარა ამ კლასში ის მარტო მუშებს როდი გულისხმობს.

თანამედროვე კაცობრიობას ის ყოფს სამ კლასათ. პირველ კლასს შეადგენს

რის არიან, რომ ახლო მომავალში მთავრობა პარლამენტს წინადადებას მისცემს რეზოლიუცია გამოიტანოს ლორდების წინაამდეგ, რომელნიც უკანონოთ იქცევიან, როდესაც ბიუჯეტს არ ამტკიცებენ. ზოგიერთი რადიკალური მოაზრე მინისტრები ლორდთა პალატის გაუქმებას მოითხოვენ.

**ლორდების აგიტაცია.** ბიუჯეტის საბოლოოთ უარყოფის შემდეგ ლორდები პროვინციებში მიდიან აგიტაციის გასამართავათ. მათი აზრია ხალხს გააცნონ რეფორმის დუმის მნიშვნელობა და მათი შეხედულება ამ საკითხის შესახებ. როგორც ვიცით, ლორდები ბიუჯეტის უარყოფის მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ სანამ თვითონ ინგლისის ხალხი არ გამოსთქვამს თავის შეხედულებას ბიუჯეტის შესახებ, მანამდე მისი მიღება შეუძლებლათ მიგვაჩნიაო.

**ჩხუბი პარლამენტში.** ლიუქსენბურგის პალატის ერთ სხდომაზე კამათი იყო სუბსიდიის გადიდების შესახებ ქალაქის საქალებო გიმნაზიის შესანახავათ. კლერიკალების მოქმედებით მოთმინებიდან გამოსულმა დეპუტატებმა მარკმა განაცხადა: „პალატაში მსხდომ ხუცებს ტყუილათ გონიათ, ვითომ მათ ეკუთვნოდესთ ახალგაზრდობის განათლების მონოპოლიაო“. როდესაც მარკი დაჯდა, მას კლერიკალი დეპუტატი წამოეპარა და სახეში გაარტყა. მარკიმ კლერიკალს კისერში მოავლო ხელი და გაგუდვას უპირებდა. პალატაში საშინელი აურზაური ასტყდა. როგორც იქნა, ბოლოს დამშვიდდენ. მოჩხუბარმა დეპუტატებმა ერთმანერთი „დუელში“ გამოიწვიეს

**ანტიმილიტარისტების წინააღმდეგ.** ბრიანის სამინისტრო ენერგიულ ბრძოლას უცხადებს ანტიმილიტარისტებს, ერვეს მომხრეებს. პარიზიდან მიღებული ცნობებით, საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს გადაუწყვეტია სასჯელი შემოიღოს მათთვის ვინც სიტყვით, საქმით, გაზეთის საშვალებით და კარიკატურებით შეურაცყოფას მიაყენებს ნაციონალურ დროშას.

## ქალაქის ქრონიკა

ყველდღე მოსიარულე ავათმყოფთათ

**ქალაქ. საბჭო.** [illegible] შაბათს, [illegible] ნოემბერს შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელსაც 48 ხმოსანი დაესწრო. რამდენიმე წვრილმანი კითხვების გარჩევის შემდეგ, მოხდა საბჭოს მდივნის არჩევა. გარდა ახლანდელ მდივნის გ. ჯაბარისა სხვა კანდიდატი არავინ წამოუყენებიათ. 40 ხმით, წინააღმდეგ 8-სა, ბ. ჯაბარი საბჭოს მდივნათ არჩეულ იქნა. საკითხი აღიძრა მდივნის ჯამაგირის გადიდების შესახებ. ხმოსანმა კ. ჯაფარიძემ წინადადება მისცა საბჭოს, რომ მდივანს წლიურ ჯამაგირზე 400 მანეთი მამატებოდა ე. ი. 2000 მან. მაგივრათ 2400 მან. მიეღო. ფარული კენჭის ყრით კ. ჯაფარიძის წინადადება უარყოფილ იქნა; მდივნის ჯამაგირი ისევ ძველი—2000 მან. დარჩა. შემდეგ ამისა გამგეობა წინადადებას იძლევა გაირჩეს 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ფინანსიური კომისიის მოსაზრების წარმოუდგენლობის გამო, ხარჯთ-აღრიცხვის გარჩევა გადაიდვა შემდეგ ორშაბათამდე. შემდეგ ამისა აღნიშნეს საფინანსო კომისიის კანდიდატები—პ. თუმანოვი, დოლუხანოვი, ჯაბადარი და სხვები—სულ 9 კაცი—ძველი კომისიის 13 წევრის მაგივრათ, რადგან, როგორც ზოგი ხმოსანი ამტკიცებდა, რამდენათ ნაკლებია კომისიის წევრთა რიცხვი, იმდენათ უფრო დაჩქარებით კეთდება საქმეო. სანამ ახლათ არჩეულ კომისიის წევრებს ადმინისტრაცია დაამტკიცებდეს, ქალაქის საფინანსო საქმეებს მანამ ისევ ძველი კომისია განაგებს და აწარმოებსო.

✦ **„კავკასიის ქალთა საზოგადოების“** წევრთა კრება დანიშნულია დღეს, 18 ნოემბერს, ექიმთა საზოგადოების შენობაში. კრებაზე გასარჩევათ შემუშავებულია შემდეგი პროგრამა: 1) საზოგადოების ანგარიში; 2) ხაზინადრის ანგარიში; 3) მოხსენება პედაგოგიურ წრის მოწყობის შესახებ; 4) მოხსენება ქალთა საერობო საარჩევნო უფლებების შესახებ; 5) ქალთა მოძრაობა რუსეთში; 6) წევრების არჩევა და სხვა.

✦ **წ.-კ. საზ. გამგეობის** მორიგი სხდომები დღეის შემდეგ ხუთშაბათის მაგივრათ ოთხშაბათს მოხდება, რადგან ხშირათ გამგეობის სხდომებს წევრები ვერ ესწრებიან იმის გამო, რომ ხუთშაბათობით ჩვეულებრივათ წარმოდგენები იმართება.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის** 17 ნოემბრის სხდომაზე დაადგინეს; შეატყობინონ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, რომ შაბათს, 21 ნოემბერს, სახალხო უნივერსიტეტის თეატრალური სექცია სახალხო სახლში ჩვეულებრივათ მართავს წარმოდგენას. წარმოადგენენ პიესას „ციმბირელს“. ამასთანავე გამგეობამ სათითაოთ წერილები დაუგზავნა თეატრალურ სექციის წევრებს, რათა 19 ნოემბერს კრებაზე დაესწრონ, სადაც გაარჩევენ კითხვებს, რომელთაც სექციის რეორგანიზაციასთან აქვთ კავშირი. ამასთანავე მოწერილობა გაუგზავნეს სექციის თავმჯდომარეს მ. დემურიას, რომ მან ანგარიში და ინვენტარი წარუდგინოს იმ კომისიას, რომელიც არჩეული ყავს უნივერსიტეტის გამგეობას სექციის საქმეების გამოსარკვევათ და ამასთანავე საზოგადოთ გააცნოს სექციის მდგომარეობა. ეს მოწერილობა განმეორებაა 12 ოქტომბრის მოწერილობის. ოსურ სკოლის შესახებ გამგეობამ გადასწყვიტა: თუ ნოემბრის დამლევამდე სკოლაში მოსწავლეთა საკმარისი რიცხვი არ შეიკრიბება, იმ შემთხვევაში სკოლა დაიხურება.

✦ **ბათუმიდან გვატყობინებენ:** თოვლის მოსვლის გამო ზამთრის განმავლობაში ბათუმ-ახალციხის გზაზე მიმოსვლა შეჩერებული იქნა.

✦ **მეღვინეობის სექციის დადგენილება.** 16 ნოემბრის საღამოს სხდომაზე მეღვინეობის სექციამ დაადგინა: დაარსდეს კახეთში „ღვინის საცდელი სადგური“.

✦ **სამსახურიდან დათხოვნა.** პოლიცმეისტერის განკარგულებით ლოთობისათვის სამსახურიდან დათხოვნილია მე 8 საპოლიციო უბნის პოლიციელი პ. ოლენკო.

✦ **თფ. საგუბ. ქალაქების საქმეთა საკრებულოს** სხდომა დანიშნულია დღეს, 18 ნოემბერს, სადაც გაარჩევენ 11 სხვადასხვა კითხვას.

✦ **მეღვინეობის სექციის სხდომა** 16 ნოემბერს შესდგა თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით. სექციაზე წაკითხულ იქნა რამდენიმე მოხსენება მეღვინეობის და მევენახეობის შესახებ. სექციამ დაადგინა: 1) უნდა შემცირდეს ღვინის გადასაზიდავი რკინის გზის ტარიფი; 2) ღვინის ჩქარი გადაზიდვა საქონლის მატარებლითაც ხდებოდეს.

✦ **თფილისის საზოგადო განათლების კურსების** უმაღლესი კლასები დაიხურა. სწავლა დაბალ კლასებში სწარმოებს.

✦ **თფ. სინოდალური კანტორის პროკურორათ** დაუნიშნავთ ქ. ნოვგოროდის კონსისტორიის მდივანი ანდრეევი.

✦ **თფილისის საკრებულოს შენობაში** 20 ნოემბერს დანიშნულია „თფილისის საკრებულოს“ წევრთა საზოგადო კრება. როგორც დაბეჭდილ ანგარიშიდან სჩანს, საზოგადოების შენობის ასაგებათ დახარჯულა სულ 59,313 მან.

✦ **ახალი დრამატიული საზოგადოება.** თავ. ე. ი. ჯამბაკურ-ორბელიანის თაოსნობით თფილისში არსდება ფრანგული დრამის საზოგადოება. წესდება შედგენილია და ამ დღეებში დასამტკიცებლათ წარადგენენ.

✦ **ერევნიდან ამბავი მოვიდა,** რომ იქ 11 ნოემბერს მიწის ძვრა მომხდარა; როგორც ამბობენ, მიწის ძვრის დროს 2—3 სახლი დაქცეულა.

✦ **რედაქციამ მიიღო** საბავშო ჟურნალის „ჯეჯილის“ ოქტომბრის ნომერი. ჟურნალი შინაარსიანია და ჩვეულებრივათ სუფთათაა გამოცემული.

✦ **დ. საჩხერედან** (შორ. მაზრა) გვატყობინებენ, რომ იქ ადგილობრივ ინტელიგენციას შუამდგომლობა აღუძრავს გუბერნატორის წინაშე „საზოგადო კლუბის“ დაარსების ნებართვისათვის.

**წ. კ. საზოგადოების წევრმა ე. ხრამელოვმა** განცხადება შეიტანა საზოგადოების მთავარ გამგეობაში წვრილი კრედიტის სისტემატიური კურსების მოწყობის შესახებ.

✦ **გადასახლებულების შეპყრობა.** 16 ნოემბერს პოლიციამ დააპატიმრა ადმინისტრატიულ წესით გადასახლებულნი და თავის ნებით დაბრუნებული ა. მელიქ-გაკაზოვი, სტეფანე მანიევი და არ. პოგოსოვი, რომელთაც სამართალში აძლევენ.

## ბ-ნ სვიმონ ყიფიანს

თქვენს შეკითხვაზე, რომლითაც მომმართეთ მე გაზეთ „დროების“ ფურცლებიდან, შემიძლია გიპასუხოთ, რომ მე სრულიად სახეში არ მქონია თქვენი ზნეობრივი ფიზიონომია და არც რაიმე ფაქტების დასახელება შემიძლია ამ მხრივ. მე მქონდა სახეში თქვენი ლიტერატურული მოღვაწეობის ერთი მხარე, რომელიც პირადათ მე მავალებს საზოგადო საქმეში ანგარიში გავუწიო მას და უფლებაცა მაქვს დავაფასო ისე, როგორც ჩემი გონება გამიჭრის. ასე მესმოდა მე ჩემი სიტყვები თქვენ შესახებ და შეცდომის თავიდან ასაცილებლათ შენიშვნაც გავუკეთე. მე მგონია ამ ჩემმა პასუხმა უნდა დაგაკმაყოფილოსთ, რადგან, ვიმეორებ, მე თქვენი საწინააღმდეგო სხვა არაფერი მაქვს.

**ნიკო ელიავა.**

# პროვინცია

**ოზურგეთი.** 9 ნოემბერს თვითმართველობის დარბაზში შესდგა ეგ. ნინოშვილის ფონდის თფილისის კომიტეტის ოზურგეთის განყოფილების წევრთა კრება. კრებას დაესწრო ხუთი წევრი. გასარჩევი საკითხები იყო: 1) შემოსული ფულის ანგარიში, 2) შეწყდეს ჯერ მოქმედობა თუ არა? და 3) ძეგლის დადგმის შესახებ საკითხი.

პირველი კითხვის შესახებ კომიტეტის თავმჯდომარემ ქ-ნ ეკ. [illegible] გააკეთა მოკლე მოხსენება და გააცნო კრებას შემომწირველთა სია და მოკლე ანგარიში როგორც შემოსული, ისე ხარჯების.

მოკლეთ ანგარიში ასეთია: შემოწირულების წიგნებით მოგროვილა 96 მ. 06 კ., წარმოდგენიდან დარჩენილა 46 მ. 06 კ., ლექციიდან 7 მ. 20 კ. სულ კომიტეტის ხელშია 149 მან. და 13 კ.

თუ ამას მივუმატებთ კერძო პირების შეგროვილ 26 მ. 26 კ.-ს სულ შესდგება 175 მ. 39 კ.

კრებამ ანგარიში მიიღო. არ შეიძლება არ ვსთქვა ერთი გარემოების შესახებ, შემომწირველთა სიაში ჩვენ ვერ ვხედავთ დიდ შემოწირულებას. მასში ვერ ვხედავთ ინტელიგენტებს, ფულიანებს, შეძლებულ, ეკონომიურათ უზრუნველ-ყოფილ ხალხს. აქ ისევ ის გაძვალტყავებულ ხალხს გამოუღია თავისი უკანასკნელი წვლილი.

კრებამ ამის შესახებ იქონია მსჯელობა და მწუხარება გამოსთქვა.

მეორე კითხვის შესახებ კომიტეტმა დაადგინა: ვინაიდან ჩოხატაურში, ხიდისთავში, აცანაში, ბახვში, დვაბზუში, ლიხაურში, ოზურგეთში და სუფსაში არის მოგროვილი შემოწირულება და სხვაგან კი არსად, ამისათვის გააგრძელოს მოქმედება და მიმართოს დანარჩენ საზოგადოების მოწინავე პირებს, რომ მიიღონ ამის შესახებ ზომები და შეუდგენ ფულის მოგროვებას. მოგროვილი ფული შეტანილ იქმნას ადგილობრივ ფოსტის განყოფილებაში, სანამ სულ არ დამთავრდება საქმე.

**პერ.**

---

**ჭიათურა.** მოგეხსენებათ, რომ აქ მრეწველთა საბჭოს აქვს აბანო, სადაც ბლომა ფულია ჩაყრილი. ამ აბანოთი უწინ ყოველ კვირაში სარგებლობენ, ეხლა კი ორ კვირაში ერთხელ და ისიც რამოდენიმე საათით. როგორც გამოცდილება ამტკიცებს, ეს დრო საკმარისი არაა, საჭიროა რამოდენიმე საათი კიდევ მოემატოს. მასთან, ეს დრო უნდა ხვდებოდეს უმეტესათ უქმე დღე, ვინაიდან საქმის დღე მუშებს მოცალება არა აქვთ. მაგალითად, ეხლა აბანო შაბათ შუადღიდან საღამოს 10-მდეა. ამ დროს ერთი [illegible] ხალხი აწუხდება და ნომრები არ ყოფნით (ორი ნომერია) და მეორე—მუშები საღამოს 4—5 ს. სამუშაოზე არიან და ვერ იცლიან. საჭიროა ამასთანავე საბჭოში მოსამსახურეთათვის განსაკუთრებული საათები იყოს დანიშნული.

— ამ დღეებში აქ იყო ოლქის მზრუნველი. სასწავლებლები ინახულა და მოიწონა.

---

მსწავლულები, მხატვრები, არტისტები და ყველა ის, ვინც გონებრივათ მუშაობს. მეორე—ეს ბურჟუაზიაა. ბურჟუაზიას ის ეძახის ყველა იმათ, ვინც მონაწილეობას არ იღებს საქონლის დამზადებაში და ცხოვრობს თავის ქონების შემოსავლით და სარგებლობს ყოველ გვარი პრივილეგიით. მესამე — ესენია მრეწველები. ი. ი. ყველა ის, ვინც არ ეკუთვნის პირველ ორ კლასს. ესენია ყველა ის, ვინც მონაწილეობას ღებულობს წარმოებაში. და ეს მეფაბრიკეა თუ მუშა—სულ ერთია. პირველი კლასი მიაქანებს წინ კაცობრიობის აზროვნებას. მეორე—მთელი თავისი არსებით კონსერვატორი და წესიერების ბურჯია. მესამე—მტერია გაბატონებული წესწყობილების, რომელიც დაფუძნებულია მორჩილებაზე, უთანასწორობაზე. ის თხოულობს ახალ წესწყობილებას, რომელიც უნდა აშენდეს თანასწორობის იდეალზე. საზ. ასე გარდაქმნაში, სენ-სიმონი დიდ მნიშვნელობას აძლევს მართვა-გამგეობას და კერძო საკუთრების ფორმას. „ჩვენ მეტათ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ—სწერდა ის—მართვა-გამგეობის ფორმას... შეუძლებელია სოციალური ცვლილება ისე, თუ არ შეიცვალა მისდა შესაფერათ კერძო საკუთრების ფორმაც“, მაგრამ ამ საღი და ჭეშმარიტი შეხედულების ბოლომდი განვითარება და აქედან დასაბუთება ყველა ამის აუცილებელი შედეგის, მან ვერ შესძლო და კითხვა გადუჭრელი დარჩა. მართვა-გამგეობას ის ანაწილებს ორათ: გონებრივი და საერო. პირველი ეკუთვნის მსწავლულებს და მოაზროვნე პირებს, ხოლო მეორე—საწარმოვო პროცესების ხელმძღვანელებს რომელთა მოქმედებაში ის დიდ სამსახურს ხედავს კაცობრიობის წინაშე. საფრანგეთმა რომ დაჰკარგოს—განაგრძობს ის—50 პირველი ფიზიოლოგები, ამდენივე მექანიკები, ბანკირები, ქვისმთლელი და სხვა—მაშინ ერი გახდებოდა უსულო სხეულათ. ხოლო, რომ იმავე საფრანგეთს ყველა ესენი ყავდეს და სამაგიეროთ დაჰკარგოს კოროლი, მისი ოჯახობა და კიდევ ათი-ათასი მსხვილი მესაკუთრე—ამით ერს იოტის ოდენა ზარალი არ მიადგებოდა. „ჭეშმარიტი კონსტიტუცია კი არ უნდა გამოიგონო, არამედ—აღმოაჩინო. ჭეშმარიტი კანონმდებელი კოროლი და საკანონმდებლო კრება კი არ არის, არამედ ის ფილოსოფოსი, რომელმაც შეისწავლა ცივილიზაციის განვითარების ისტორია და თავის ცოდნა-დაკვირვებას თავი მოუყარა საზოგადოებრივ კანონში, რომელიც სახელმძღვანელო პრინციპათ ხდება კანონ-მდებელთათვის“.

სენ-სიმონს შეუნიშნავი არც კლასთა ბრძოლის მნიშვნელობა დაურჩა. საფრანგეთის რევოლიუციას ის აღიარებს კლასთა ბრძოლათ. ეს იყო ბრძოლა მემამულე არისტოკრატიის და მრეწველ კლასთა შორის. ლიუდოვიკ XI-დან დაწყებული, კოროლები ემხრობოდენ მრეწველთა კლასებმა კიდევაც გაიმარჯვეს ფეოდალებზე, მაგრამ ლუდოვიკ XIV და მისმა მემკვიდრეებმა შეცვალეს პოლიტიკა, მიიმხრეს ფეოდალები, გაილაშქრეს მრეწველ კლასთა წინააღმდეგ და მით დასაბამი მისცეს რევოლიუციას.

სენ-სიმონი მთელ იმედებს მრეწველთა კლასზე ამყარებს. ამათ უნდა შექმნან ისეთი ახალი საზოგადოებრივი წყობილება, სადაც მშრომელი კლასი დაიჭერს პირველ ადგილს, მოსპობს ყოველ-გვარ პრივილეგიებს, კაცის კაცზე გაბატონებას, მონოპოლიებს და თავისუფლათ განვითარების საშვალებას მისცემს ადამიანის ნიჭს, შრომას და ტალანტს. ამ მრეწველთა კლასს კი, როგორც ზევითა ვსთქვით, მისი აზრით, შეადგენს არა მარტო მუშები, არამედ ყველა ის, ვინც მონაწილეობას ღებულობს წარმოებაში, მათ შორის მრეწველ-კაპიტალისტებიც.

თავის მომავალი საზოგადოება, სენ-სიმონს არ აუწერია ისე დაწვრილებით, როგორც ფურიემ და ოუვენმა. მან მხოლოდ მისი უმთავრესი პრინციპები აღნიშნა. ეს პრინციპები კი მის შემდეგ უფრო განავითარეს მისმა მოწაფეებმა. მომავალი საზოგადოება მისი აზრით უნდა აშენდეს ასოციაციის პრინციპზე. მსხვილ წარმოებას ის დიდ უპირატესობას აძლევს წვრილ წარმოებაზე. ასოციაცია მისი აზრით შეაერთებს დაქსაქსულ წვრილ წარმოებას და გააერთიანებს წვრილ საკუთრებას. ამიტომ ასოციაციას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ყოველ-გვარი პრივილეგიები და მემკვიდრეობა ასოციაციაში უნდა მოისპოს. მთელი ქონება დარჩენილი, ასოციაციის წევრის სიკვდილის შემდეგ, რჩება არა შვილებს, არამედ მთელ სახელმწიფოს. თვითეული წევრი ღებულობს ჯილდოს შესაფერათ მისი შრომისა და დაიჭერს ისეთ ადგილს, როგორც შეეფერება მის ნიჭს და გამოცდილობას. თანასწორობა წევრთა შორის არ არსებობს. ახალი წეს-წყობილება უნდა დაარსდეს მშვიდობიანი პროპაგანდის და უფლების მქონე პირების დაჯერება-დარწმუნებით. ორგანიზაციულათ მოწყობილ პოლიტიკურ ბრძოლას და საერთოთ პოლიტიკას, ის, ისე, როგორც ფურიე და ოუვენი, უარყოფს და სიგიჟეთ აღიარებს. ამიტომ არც კი უნდა გაგვიკვირდეს თუ თავის სისტემის განხორციელებას ის თხოვდა და ავალებდა ნაპოლეონს, ლიუდოვიკს და სხვა ასეთ პირებს.

ახალი საზოგადოებისათვის სენ-სიმონი თხოულობს ახალ რელიგიას. ამ თემაზე მან დაწერა თხზულება „ახალი ქრისტიანობა“. ეს ახალი რელიგია უნდა გახდეს საზოგადო საყოველთაო რელიგიათ; მისი მიზანია—ემსახუროს საზოგადოებას. „ყოველგვარი საზოგადოება უნდა შრომობდეს უღარიბესი კლასის ზნეობრივ და ფიზიკურ არსებობის გაუმჯობესებისათვის“. ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს მისი „ახალი ქრისტიანობაც“. ახალი ქრისტიანობა თუნდა გავრცელდეს არა „ცეცხლითა და მახვილითა,“ არამედ მშვიდობიანი ქადაგებით. ახალ ქრისტიან. მიმდევარნი არას დროს არ იხმარენ ფიზიკურ ძალას თავის მოძღვრების გასავრცელებლათ. „ახალი ქრისტიანები შეიძლება თვითონ აწამონ, მარა ისინი კი არას დროს არ გახდებიან ჯალათებათ?

მდიდრები და ძლიერნი, მრეწველნი და მსწავლულნი თვითონ დარწმუნდებიან რომ ახალი სარწმუნოება ზარალს არ მიაყენებს მათ ინტერესებს. პირიქით, ახალი საზოგადოება თავის სიმდიდრით და ზნეობრივი ამაღლებით დიდ სარგებლობას მოუტანს ყველა კლასებს და გააუმჯობესებს მათ მდგომარეობას.

ამ გვარათ სენ-სიმონი ფართო მასსის ზრუნვას თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭიროთ არ თვლის. ისინი ჩუმათ და წყნარათ უნდა შეყურებდენ სხვებს, რომლებსაც ის ავალებს „პროლეტარიატის უზრუნველყოფას“. ის აერთებს მრეწველებს და მუშებს და მათ ინტერესთა შორის არავითარ ბუნებრივ განსხვავებას ვერ ამჩნევს.

როგორც ვთქვით, სენ-სიმონს დარჩა თავის მცირე რიცხოვანი გუნდი მიმდევრებისა, მარა ამათ შორის ერია რამდენიმე განათლებული და დაუშრეტელი ენერგიის მქონე პირები. ესენი იყვნენ ბაზარი და ანფონტენი. ესენი გაცხარებულ აგიტაციას ეწეოდენ თავის იდეების გასავრცელებლათ. ამათი ნიჭიერი ქადაგება ათასობით იზიდავდა ხალხს და მალე ბევრი მიმდევრები შეიძინეს, რომელთა შორის იყვნენ: ინჟენრები, არტისტები, ექიმები, ადვოკატები, პოეტები და ბევრი სხვა ნიჭიერი და ცნობილი პირები. სენ-სიმონისტები მთელ საფრანგეთს მოედვენ და ბევრ ქალაქებში თავისებური ეკკლესიები დაარსეს „ახალი ქრისტიანობის“ საქადაგებლათ ამათ წრიდან გამოვიდენ ბევრი მსწავლულები, ფილოსოფოსები და ცნობილი პუბლიცისტები. მე-30 წლებში სენ-სიმონიზმი მეტათ გავრცელებული მოძღვრება იყო. პარიჟში დააარსეს რამდენიმე თავისი სკოლა, გახსნეს კურსები ლექციებისათვის, ქონდათ თავის საკუთარი ორგანო და სხვა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, სენ-სიმონიზმს, არავითარი პირდაპირი გავლენა არ უქონებია მუშათა მოძრაობაზე. ის ბოლომდის უცხო და მიუწდომელი დარჩა მუშათა მასსისათვის. ეს იყო წმინდა ინტელიგენტური მოძრაობა. ის ვერ გახდა სახალხო მოძრაობათ და ბოლომდე შერჩა თავისი არისტოკრატული ხასიათი.

ბაზარმა და ანფონტენმა დააარსეს თემი და დაარქვეს სენ სიმონის „ოჯახობა“ (Семейство). ეს იყო წმინდა რელიგიოზური თემი. ბაზარს და ანფონტენს უწოდებდენ „უზენაეს მამებს“. ანფონტენი წერდა ჯვარს სენ-სიმონისტებს, ასრულებდა სხვადასხვა ღვთის მსახურებას დამარხვის დროს და სხვა. თემს ქონდა თავისი სახელოსნო, სადაც მუშაობდენ თემის წევრები, რომელთა რიცხვი დრო გამოშვებით 4,000-მდე ადიოდა. წლიური ბიუჯეტი თემის 200,000 ფრანკს აღემატებოდა, მარა ყოველივე ეს წუთიერი და ხან-მოკლე გამოდგა. თემში ბაზარს და ანფონტენს შორის, მოხდა განხეთქილება. უთანხმოება-განხეთქილება გამოიწვია იმან, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს ქალს ახალ ეკკლესიაში. უმაღლესი უფლება მარტო კაცს უნდა ეკუთნოდეს, თუ ქალს და კაცს—ერთად. ანფონტენი ამტკიცებდა, რომ მა-

აქედან სამხერეში ავიდა. სამხერის თავადებს, როგორც ჩვეულებათ აქვთ, „თავადური“, „რჯ-ჩებით“ დახვდენ, მამაპაპური ვახშამი გაუმართეს და სხვ. ეგონათ, რაიმეს გვიწყალობებს მზრუნველიო, მარა უთველ მათ თხოვნაზე ჩვეულებრივი პასუხი მიიღეს: ვეცდები, რაც შემეძლებაო. მა—ლი.

—

**სოხუმი.** საზოგადოებრივი ცხოვრება თითქო მოკვდა სოხუმში. სიცოცხლე მხოლოდ სამიკიტნო-კაფეინებშია. აქ გაბატონებული კარტ-ლოტო-ნარდის თამაშია. ეკონომიურ კრიზისს ვერც სოხუმი გადურჩა. აქაური ვაჭრები ამას თავისებურათ ხსნიან: „ყველაფერი სოციალდემოკრატების ბრალია, ისინი რომ არ გაჩენილიყვნენ ქვეყანაზე, ყველაფერი ძველებურათ იქნებოდა და ვიცხოვრებდით უდარდელათო“.

— თითქმის ყოველ დღე მრავალი მოაგარაკენი მოდიან აქ და ისევ უკან ბრუნდებიან ან სხვა ადგილებში, რადგანაც აქ სახლებს ვერ შოულობენ. ადგილობრივ სამმართველოს კი თავისუფალი მიწა-ადგილები ბლომათ აქვს, მაგრამ ის „ავი ძაღლივით არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს“ იმისი არ იყოს, არც თვითონ სარგებლობს და ვეჭვობ, რომ რაიმე ზომებს ღებულობდეს, რომ სხვამაც ცოტათი მაინც ისარგებლოს.

— არც ერთ ადგილობრივ სასწავლებელთან არ არსებობს მშობელთა წრე, თუმცა ამის ნებას იძლევა კანონი. მეტია ლაპარაკი იმ სარგებლობაზე, რომლის მოტანა შეუძლია ამნაირ წრეს სწავლა-აღზრდის საქმეში, სკოლასა და ოჯახს შორის კავშირის დამყარებაში. საკვირველია, რომ არავინ ზრუნავს ასეთი წრის დაარსებაზე.

— ბ-ნ სმეცკოის სანატორიაში ეხლა 85 ავათმყოფია, უმრავლესობა ჩრდილო გუბერნიებიდან არიან. თვიური გადასახადი საავათმყოფოში 60 მანეთია. თითო ავათმყოფის შენახვა კი ჯდება თურმე 95 მ. და ამნაირათ სანატორია დეფიციტს იძლევა წლიურათ 17—20 ათას მანეთამდე. ბ-ნ სმეცკოის მიერ არის აშენებული აქ ქალაქის უფასო თავშესაფარი, დახმარებას უწევს ის სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებსაც. თავის ბაღში ის რგავს სხვადასხვა ჯიშის ვაზებს და ხეხილებს და სიამოვნებით იძლევა ცნობებს მათ შესახებზე. მაგრამ სარგებლობენ კი ადგილობრივი მცხოვრებლები მისი [illegible]კეთილობით?! სმეცკოის წინადადება მიუცია ქ. მოსკოვის თვითმართველობისთვის, რომ იკისროს მან მისი სიკვდილის შემდეგ სანატორიის შენახვა იმ პირობით, რომ საავათმყოფოში ავათ. 30% არა მოსკოველი ავათმყოფები მიიღონ და თვიური გადასახადი იყოს არა უმეტეს 50 მანეთისა. მოსკოვის თვითმართველობა კი უარზე დგას ჯერჯერობით ამაზე. სანატორიაში არიან გამოგზავნილი ავათმყოფები სხვადასხვა დაწესებულებებას ხარჯითაც. არც ერთ კავკასიის ქალაქს აქ სტიპენდია არ აქვს დარიბებისთვის.

— აქ არსებობს კლუბი და მუსიკალურ-დრამატიული წრე. პირველი განირჩევა მეორისაგან იმით, რომ იქ (პირველში) მხოლოდ კარტის თამაშს აქვს უპირველესი ადგილი დათმობილი. ხოლო მეორე—ყოველ კვირაობით მართავს საღამოებს სხვადასხვა განყოფილებებით. 7 ნოემბერს გამართულ იქნა საღამო, რომელმაც დამსწრე საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ი. გ.

—

**საღ. შაგალი** (ყარსის რკ. გზა). რამოდენიმე თვის წინეთ ქ. ქუთაისიდან აქ ჩამოვიდა ვინმე ქუთათელაძე. ის აქ რამდენიმე კვირას ცხოვრობდა, მაგრამ მისი ვინაობა ბევრმა არ იცოდა. როდესაც ბ. ქუთათელაძემ გაიგო, რომ აქ და ახლო-მახლო სადგურებში ბევრია ვენერიული ავათმყოფობით ავათ, თავისი თავი დიპლომიან ექიმათ გამოაცხადა. გაიჩინა აგენტები და შეუდგა თავის საქმეს. ის თავის მხნე და გამრჯე აგენტებითურთ თამამად გაიძახოდა: „სამაგალითო სპეციალისტი ვარ“. რა რჯულიც არ უნდა იყოს ვენერიული ავათმყოფობა, ძველია ის თუ ახალი, სულ ერთია, იოდათ, სწრაფათ და იაფათ ვკურნავ“! ძველი ხრონიკული—100 მ., ახალი—60 მან. ჩემი წამლით. მხოლოდ ფული ნახევარი წინდაწინ და ნახევარი მორჩენის შემდეგ. ამ ვაჟბატონმა აგენტების საშუალებით შაგალაში კაი ძალ პაციენტებს მოუყარა თავი. მალე მისი სახელი მთელ რაიონს მოედო. ის ყარსის გზაზე სხვა და სხვა სადგურებში ექსკურსიას ახდენდა—რასაკვირველია „საექიმო“ მიზნით. ისეთ დიდ სადგურებში, როგორიც არის სანაინი, კარაკლისი პუნქტებიც გამართა. ასეთ „პატიოსანი“ გზით მან რამდენიმე თვის განმავლობაში დიდ-ძალი თანხა შეაგროვა. მარტო საღ. შაგალაში ბარე 200 მან. მოუყარა თავი. ერთ მშვენიერ დღეს ეს ჩვენი „დიდებული მკურნალი“ სადღაც გაჰქრა და მას მერმე აღარსად სჩანს. ავათმყოფები კი უკაპეიკოთ და უექიმოდ დარჩენ.

სტუმარი.

# უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

**გერმანიის სამღვდელოება და მუშათა კლასი.**

გერმანიის და, განსაკუთრებით, პრუსიის რეფორმატორულ საეკლესიო წრეებში ამ ჟამათ დიდი მითქმა-მოთქმაა. ამას წინეთ ბერლინში შესდგა საეკლესიო მორიგი კრება, სადაც გამოირკვა, რომ სარწმუნოების საქმე ხალხის ფართო მასსაში ვერ ყოფილა სასურველ ნიადაგზე დაყენებული—უკანასკნელ ხანებში თურმე დიდ-ძალი ხალხი ანებებს თავს ეკლესიის წევრობას. მარტო ბერლინში უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში რეფორმატორული ეკლესია 20—30 ათას კაცს დაუტოვებია. ამის მიზეზათ უმთავრესათ მოყავდათ არა თუ მარტო არსებული მატერიალისტური მოძღვრების „გამხრწნელი“ გავლენა, არამედ უფრო თვალსაჩინო მიზეზები, მაგალ., საეკლესიო გადასახადები, რომელიც სახელმწიფო გადასახადის 20, 40 და ზოგიერთ ალაგებში 60% შეადგენს. ამოდენა საეკლესიო გადასახადებს ხალხი ვერ იხდის და ეკლესიას გაურბისო. ერთმა პასტორმა (მღვდელმა) ისიც კი სთქვა: ბევრი იმიტომ ტოვებს ეკლესიას, ვინაიდან მათ სახელმწიფო ავიწროვებს, ამ უკანასკნელის ჯავრს კი ეკლესიაზე იყრიანო. რეფორმატორული ეკლესიის საქმე კათოლიკურზე უკეთ არ არის გერმანიაში. მას არ შეუძლია თავისი დამოუკიდებლობით იამაყოს. რეფორმატორ ლიუტერის შემდეგ მას უთანხმოება არ მოსვლია სახელმწიფოში გაბატონებულ ძალებთან, ეს კი თავისებურ დაღს ასვამს მას. იმპერიის გაერთიანებასთან ერთათ არ ხდებოდა ეკლესიის გაერთიანება. ამ მხრით თითეული მოკავშირე სახელმწიფო განსაკუთრებულ ერთეულს წარმოადგენს. უმეტეს მათგანში, განსაკუთრებით პრუსიისაში, გაბატონებულია ძველი დოგმები. სოციალური მოქმედების ასპარეზზე რეფორმატიულმა ეკლესიამ რამდენიმე წლის წინათ თითქოს ახალი მიმართულება გამოიჩინა—დაარსდა რაღაც რეფორმატიულ-სოციალური კონგრესები, მარა ამავე კონგრესების დამაარსებელმა მე-90 წლებში დააარსა უფრო ზომიერი საეკლესიო სოციალური კრებები, რომელმაც კონგრესების მოქმედებას ნიადაგი გამოაცალა. ეკლესიის „სოციალური“ მოქმედება არაფრათ მოეწონათ მეკარხნეებს; საკმაო დარჩა მათი გავლენით ვილჰელმ მეორეს ეთქვა, რომ „ქრისტიანულ-სოციალური იდეები სისულელეაო“, რომ ეკლესია ისევ მოთავსებულიყო წინანდელ კონსერვატიულ-რელიგიოზურ კალაპოტში. ისეთი თავისუფალი რელიგიოზური კავშირი მრევლსა და ეკლესიას შორის, როგორც შვეიცარიაში, ჰოლანდიაში და ინგლისში არსებობს, გერმანიაში წარმოუდგენელია. ამიტომ გერმანელ არა თუ მუშისთვის, არამედ სხვებისთვისაც სიტყვა მღვდელი არ არის სასიამოვნო. არც საზოგადოების ბურჟუაზიული ნაწილი ამყარებს იმედებს ოფიციალურ სამღვდელოებაზე, მარა ვინაიდან მათ წინაალმდეგ არ მიდის სამღვდელოება, ისინი თავიანთ ფორმალურ მოვალეობას მათ წინაშე ასრულებენ და შემდეგ კი გვერდს უვლიან. სულ სხვანაირათ გრძნობს თავის თავზე ეკლესიურ პოლიციურ სიმწვავეს მუშა ხალხი. მას თავისი მთლიანი ზიზღი გადააქვს იმ სისტემაზე, საიდანაც ის წარმოსდგა და თუ მუშებშიაც მოიპოვებიან კიდევ ისეთები, რომ ჯერ ფორმალურათ ეკლესია არ დაუტოვებიათ, ეს უნდა მიეწეროს უმთავრესათ იმ მოვლენას, რომ ეკლესიიდან გამოსვლით სწავლის დროს მათ შვილებს არ დაუშავდეს რა და სხ.. მარა საკმაოა ცოტაოდენი მიზეზი, რომ მუშამ ყოველივე კავშირი გასწყვიტოს ეკლესიასთან. უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში კერძოთ ეკლესიის მხრით არ ყოფილა ისეთი აშკარა მაგალითები, რომელიც ამა თუ იმ პირს, გინდ ჯგუფს ერთბაშათ აიძულებდა ეკლესიას განდგომოდა, მარა 1905—1906 წ. პრუსიის მთავრობის წინადადებით ლანდტაგმა დაამტკიცა სასკოლო კანონი, რომელსაც ორნაირი მიზანი ჰქონდა: განესაზღვრა სათემო მმართველობათა გავლენა სახალხო სკოლებზე და დაექვემდებარებია ეს სკოლები ეკლესიისათვის; ეგრეთ წოდებული ინტერკომფესიონალური სკოლები სრულიად გააუქმეს და მის ნაცვლათ რელიგიოზური საგნების სწავლების საქმე სკოლებში გააფართოვეს. ამის მსგავსივე პროექტი წარადგინა სახალხო განათლების მინისტრმა მე-80 წლებში, მარა მის წინააღმდეგ მაშინ მთელმა საზოგადოებამ გაილაშქრა და პროექტიც „უკუაქციეს“; ამ ჟამათ კი, მხოლოდ მუშებმა გაილაშქრეს პროექტის წინააღმდეგ, რომლებმაც, რასაკვირველია, ვერ შესძლეს მთავრობის და პარლამენტის დაძლევა; სამ გიერით, შური იძიეს სახელმწიფოს მოკავშირე ეკლესიაზე—გამართეს ეკლესიის წინააღმდეგ სასტიკი კამპანია და ბევრიც ჩამოაშორეს, მარა 1907 წ. მუშებს ეკლესიის წინააღმდეგ საბრძოლველათ არ სცალოდათ. ამ წელს უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო საარჩევნო სისტემის შეცვლაზე, 1908 წლიდან კი კვლავ ეკლესიის და სამღვდელოების ჯამაგირების მომატების კანონის წინააღმდეგ გაილაშქრეს. მდგომარე წლის გაზაფხულამდე ეკლესიის წინააღმდეგ კამპანია არ შესუსტებულა, რასაც პრუსიის ლანდტაგში მოყვა კითხვის აღძვრა—ეკლესიის სახელმწიფოსაგან სრულიად გამოყოფის შესახებ. ეკლესიის წინააღმდეგ ასეთ კამპანიას შედეგათ მოყვა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ეკლესიის წევრობიდან 20—30 ათასი კაცის გამოსვლა. ეს კიდევ ცოტაა მომავალთან შედარებით. ერთმა მქადაგებელმა კრებაზე მაგალითად ასე დაახასიათა ეკლესიის მომავალი მდგომარეობა: „თუ ეკლესიისაგან ჩამოშორება მოდათ გადაიქცა, მაშინ დაგვტოვებენ არა თუ მარტო მუშები, არამედ ბევრი სხვებიც; ასე რომ, მაცდურობას არ ექნება დასასრული“-ო.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ამ ჩემს პატარა წერილს.

„მომავალის“ მე-62 №-ში მოთავსებულია ბ. სვირელის დაგვიანებული პასუხი: „კიდევ ძველი სექცია და ახალი წრე“, სადაც ბ. სვირელი არც მე მტოვებს უყურადღებოთ. იგი სწერს ჩემს შესახებ, სხვათა შორის, შემდეგს: „ბ. დუმბაძისაგან მოტყუებულმა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ძველი წევრებიდან მხოლოდ ორი სამი დავითხოვეთ, თორემ დანარჩენი ყველანი დარჩენო. ყოველივე ეს სიმართლეს მოკლებულია. მე, როგორც სარეორგანიზაციო კომისიის წევრს, არავითარი ზნეობრივი უფლება არ მქონდა გადმეცა ბ. სვირელისათვის ეს თუ ის დადგენილება კომისიისა, მით უფრო სარეორგანიზაციო კომისია არ წარუდგენდა სახ. უნივერსიტეტის გამგეობას ახლად შედგენილი სექციის წევრთა სიას. რად დასჭირდა ბ. სვირელს ასეთი ცილის წამება, მე სწორედ ვერ გამიგია. ალბათ, ბ. სვირელი მიზეზათ მე მთვლის, რომ ის სექციაში ვერ გავიდა და ამიტომ გაგულისებულია ჩემზედ. დავარწმუნებ ბ. სვირელს, რომ სარეორგანიზაციო კომისიაში მარტო მე ვიცავდი მის კანდიდატურას. ის მე საქმისათვის სასარგებლოთ მიმაჩნდა, მაგრამ კომისიის ერთ-ერთ წევრმა მძიმე ბრალდება წამოაყენა სვირელის წინააღმდეგ და ამ ბრალდებისათვის დანარჩენ კომისიის წევრებს სათანადო ანგარიში უნდა გაგვეწია. (თუ საჭირო იქნება ამ წევრს კიდევაც დავასახელებ.) ამის შემდეგ ბ. სვირელი სექციაში ვეღარ გავიდა. ახალი სექციის წევრთა სია სახ. უნივერსიტეტის გამგეობას წარედგინა, მაგრამ გამგეობამ სია არ დაამტკიცა. რომ ბ. სვირელი არ იყოს შეტანილი სიაში, ეს მან სახ. უნივ. ერთ-ერთ წევრისაგან გაიგო, ისიც მეორე დღეს, როცა სია წარვადგინეთ. აი, ამ დღიდან იწყება ბ. სვირელის სულის კვეთება. ის ყველაფერს მე მაბრალებდა, მე მთვლიდა საბაბათ, რომ კომისიაში ვითომ მხარი არ დავუჭირე; ერთი სიტყვით სვირელი იმ ხანებში მეტის მეტათ აღშფოთებული იყო. პირადათ მე არ მომწონდა მისი აჩქარება, წაჯექ-უკუჯექობა, დერწამივით აქეთ-იქით რხევა, მუქარები და «პოლიტიკანობა». შეიძლება ვცდები, მაგრამ, სვირელის მთელი მოქმედება იმ ხანებში ჩემზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქო ყოველივე ეს პირადი ინტერესებით, ჯიბრით იყო გამოწვეული. სვირელს ვერ მოენელებინა, რომ ის სექციის გარეშე დარჩა.

აქვე საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ წრის დაარსების მომხრე სექციაში ყველანი ვიყავით, მაგრამ არა იმ გზით და საშუალებით, როგორც ეს მოხდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ წრის დაარსების საქმე კეთილად დამთავრდებოდა, სახალხო უნივერსიტეტთანაც მშვიდობიანათ მოვრიგდებოდით, თუ არა ზოგიერთი პირების გულმოსვლა და პირადი ანგარიშების მიხედვით მოქმედება.

დიმიტრი დუმბაძე.

—

**პასუხათ ბ-ნ იკა-მეგობარს *).**

მ. ს.! „მომავალის“ 66 ნომერში თქვენ მოითხოვთ ჩემგან პასუხს, თანახმა ვარ თუ არა გამოგყვეთ სამედიატორო სამართალში თქვენ მიერ წამოყენებულ „ბრალდებათა“ გასარჩევათ.

ამის პასუხი თქვენ უკვე მიიღეთ ჩემგან სამი დღით ადრე, ვიდრე თქვენი წერილი დაიწერებოდა (იხილე „მომავალი“ 11 და 12 ნოემბრის №№ 62 და 63) და ვერ გამიგია რა უნდა გაეკეთოს სამართალმა? შესაძლებელია დაგავიწყდათ მისი შინაარსი და ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემ თავს მოკლეთ მოგაგონოთ იგი:

1) მარტიდან დაწყებული მაისამდის მე რეორგანიზაციის მოწინააღმდეგე ვიყავი. მაისში დავეთანხმე რეორგანიზაციას და გულმხურვალეთაც ვიცავდი მის აუცილებლობის; 2) სექციაში მეოდ ზოგიერთ უმოქმედო და საქმისათვის გამოუსადეგარ ინტელიგენტებისა და მუშების სექციის გარეშე დატოვების მომხრე ვიყავი; 3) ენერგიულათ შევუდექი წრის დაარსებას და ვცდილობდი წესდების ჩქარა დამტკიცებას; 4) წესდება არც დამტკიცებამდე და არც შემდეგ სექციის კრებულისთვის არ წარმიდგენია განსახილველათ; 5) სექციის სახელით არ ვმოქმედებდი და არც ერთი ხელის-მომწერი წესდების ცალმხრივი განმარტებით შეცდომაში არ შემიყვანია. ყოველ შემთხვევაში, თუ ვინმე უმადურია ჩემი, დეე იმათ მისაყვედურონ და არა თქვენ; 6) ვამბობ და კვლავ ვამეორებ, რომ სექციაში ისე, როგორც საზოგადოთ ყოველ დაწესებულებაში, უმოქმედო და უსარგებლო პირი, მიუხედავათ პროფესიისა, საქმისათვის საზარალო და ზედმეტი ბარგია; 7) მე განვებ დავტოვე სამი მანეთი საწევრო ფული.

აი, ბატონებო, განმეორებითი და დამატებითი ჩემი პასუხი, რის შემდეგაც, დამეთანხმებით, სასამართლოს გასარჩევი აღარა რჩება რა. საქმე აქ მხოლოდ ისაა, რომ თქვენ ჩემს ნამოქმედარს თქვენებურ განმარტებას აძლევთ, მე კი ჩემებურს. / და არა მგონია თქვენ ან ვინმეს სასამართლოს წევრებმა ჩემზე [illegible]—[illegible] გიყავი აღშფოთებული [illegible] მოქმედებდი და არა ისე ჩემს წინა პასუხში ვრცლად მქონდა ამის შესახებ დაწერილი. თქვენც ხომ ათჯერ ჩემზე მეტი დასწერეთ. ორივე მოპირდაპირის განმარტება იცის მკითხველმა. მაშ, დაე თვით მან დასდოს ჩვენს მოქმედებას თავისი უტყუარი მსჯავრი. ასი და ათასი მკითხველის სამართალი სჯობია სამი კაცის სამართალს.

სამედიატორო სამართალში თქვენთან გამოსვლა არა მსურს. პირველათ იმიტომ, რომ გასარჩევი საგანი სასამართლოს ამ წერილის შემდეგ აღარა რჩება.რა. მეორე იმ მოსაზრებით, რომელიც მოყვანილია „დროებაში“ მოთავსებულ ჩემს წერილში „შესაწყნარებელია თუ არა? (15 ნოემბერი № 255).

ხოლო რაც შეეხება „მომავალის“ რედაქციის მოქმედებას ჩვენს პოლემიკაში, თუ დრო მექნა და გარემოებამ ხელი შემიწყო, ვეცდები განსაკუთრებულ ადგილს დავაფასებით მისი ავკარგიანობა *).

ამით ნება მიბოძეთ, მოწყალენო ჩემნო, სრულებით მოვსპო თქვენთან კამათი და მიწერ-მოწერა იმ ღრმა რწმენით, რომ თქვენც თქვენს ხსოვნიდან ამომშლით და ჩემს სახელს არც ავათ და არც კარგათ აღარ მოიხსენიებთ.

სვ. სვირელი.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს სრულიად უცვლელათ და შეუმოკლებლათ. რედ.

*) ვერ გავიგეთ რომელ „განსაკუთრებულ ადგილზე“ ლაპარაკობს ბ-ნი სვირელი. რედ.


რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი


## მატარებლების მიმოსვლა

**15 ოქტომბრიდან 1909 წ.**

საათები აღნიშნულია თფილისის დროზე.

**თფილისიდან გადის**

**ბაქოსკენ:** საფოსტო № 4, 11 ს. 40 წ. საღ., სამგზავრო № 6, 8 ს. 11 წ., დილით სამგზავრო № 12, 10 ს. 11 წ. საღ., შერეული მე-IV კლასის ვაგონებით № 106, 7 ს. 3 წ. დილით.

**ბათუმისკენ:** საფოსტო № 3, 9 ს. 42 წ. დილით; სამგზავრო № 5, 1 ს. ღამით; სამგზავრო № 7, 8 ს. 10 წ. საღამოს; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით, 4 ს. 28 წ. დღით.

**თფ[illegible]ში მოდის**

**ბაქო[illegible]** [illegible], რომ, ზოგიერთი ვაგ[illegible]. დილ., [illegible] ღამით; სამგზავრო № 11, 10 ს. [illegible] წ. დილ.; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 107, 3 ს. 16 წ. დღით.

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4, 10 ს. 40 წ. საღამოს; სამგზავრო № 6, 7 ს. 21 წ. დილით; სამგზავრო № 8, 12 ს. 17 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 106, 5 ს. 53 წ. დილით.

**თფილისიდან გადის**

**მიხაილოვში:** სამგზავრო-საქონლის № 9, 3ს. 23 წ. დღით.

**თფილისში მოდის**

**მიხაილოვიდან:** სამგზავრო-საქონლის № 10, 8 ს. 23 წ. დილით.

**ყარსის გზაზე**

**თფილისიდან გადის:** საფოსტო № 74/75 ჯულფაში, 1 ს. 37 წ. ღამით; სამგზ.-საქონლის № 72/79 ერევანში, 4 ს. 20 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 10 109, ალექსანდროპოლში 5 ს. 8 წ. დღით.

**თფილისში მოდის:** საფოსტო № 72/73 ჯულფიდან 6 ს. 19 წ. დილით; სამგზავრო-საქონლის № 80/81 ერევნიდან 6 ს. 44 წ. საღ.; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 110/111 ალექსანდროპოლიდან 4 ს. 48 წ. ღამით.


კბილის ექიმი

რომანიშვილი—დვებუამისა.

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

გამოცდილი

მასწავლებელი.

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისათვის.

იკითხეთ „მომავალის“ რედაქციაში, რუსის ქუჩა 3. (0—31)

კანტორა და სკლადი

ი. ახობაძისა

გადავიდა ნეკრასოვის ქუჩაზე, სახლი № 14 ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

სკლადში იყიდება შემდეგი წამლები:

„სპერმატინი“

ავათმყოფებს და სუსტებს. ფლ. 2 მ. 40 კ.

„ალმეზა“

რომელიც აცხრობს უცბათ კბილის ტკივილს ნორმ. ფლაკ. 1 მ. 20 კ. სტეთელი 40 კ.

„კლაპოვინი“ სპობს ბაღლინჯოებს და მათ კვერცხებს, ფასი 35 კ. სალიუბლინო პროფესორ გიუმონდის სუსუნტის არჩენს ძველს და ახალს. ფასი ფლ. 2 მ. 50 კ.

„პ რ ი მ ა“ სპობს თმის ქერწლსა და აჩერებს თმის ჩამოცვენასა. აგრეთვე ზრდის თმას. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.

მსურველთ ვუგზავნით ფას დადებით. ბროშიურები უფასოთ. 30—18